ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საინფორმაციო გამოცემა №4 (23), აპრილი, 2013 წელი

14 აპრილი დედა ენის დღე

„და ესე ენაი შემკული და კურთხეული“

***

დიახ, ენა ქართული არის მადლი, რომელიც ღმერთმა მოჰმადლა ჩვენს ერს. მრავალჭირგამოვლილია ძირძველი და მდიდარი ჩვენი ენა, რომლითაც ასე ვამაყობთ.

35 წლის წინ ერთხელ კიდევ დადგა საფრთხის წინაშე ქართული ენა. საქმე ეხებოდა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმებასა და რუსული ენის შემოღებას. ამან აღაშფოთა ქართველი საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით—სტუდენტები, ახალგაზრდები. ასი ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა პროტესტის ნიშნად მაშინ თბილისში. პრინციპულმა ნაბიჯებმა, წინააღმდეგობამ, ხალხის ძალამ ნაყოფი გამოიღო—ქართულმა ენამ შეინარჩუნა სახელმწიფო სტატუსი.

და ესე ენაი, არს დღესამომდე.

გავუფრთხილდეთ მას!

***

დედაენის დღისამი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა ჩვენს ქალაქში. ზეიმი ლადო ასათიანის სახელობის ბულვარში დაიწყო, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურისა და განათლების სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით. ერთდაიმავე დროს, პარკის ტერიტორიაზე განთავსებულ მერხებთან მიმდინარეობდა ხელნაწერ-

(დასასრული გვ. 2)

ჩვენ გვახსოვს 9 აპრილი!

„დღემდე 9 აპრილის მოვლენები განისაზღვრებოდა, როგორც ტრაგედია, უბედურება ერისა.

დღეს, ყოველივე ის, რაც მოხდა ჩვენი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში 1989 წლის 9 აპრილსა და 1990 წლის 9 აპრილს შორის, გვაძლევს უფლებას განვაცხადოთ, რომ 9 აპრილი ამავე დროს უდიდესი სულიერი გამარჯვებაა ჩვენი მოძრაობისა, ქართველი ერისა და უფრო მეტიც—იგი არის საქართველოში ახალი ეროვნული და დემოკრატიული რევოლუციის დასაწყისი, რომელიც დღემდე გრძელდება.

9 აპრილის შემდეგ გარდაიქმნა ჩვენი ხალხის ეროვნული ცნობიერება, ერმა იწამა დამოუკიდებლობის იდეა და დაირაზმა ამ იდეის გარშემო, ერმა იწამა საკუთარი ძალა, იწამა ლიდერების ძალა, მოძრაობის ძალა“—ასე აფასებდა 9 აპრილს საქართველოში ეროვნული მოძრაობის ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ბატონი **ზვიად გამსახურდია.**

9 აპრილი—დიდი მწუხარებისა და დიდი სიამაყის დღე—მთელს საქართველოში აღინიშნა. თბილისში, რუსთაველის გამზირზე მოეწყო მსვლელობა, ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი, აღევლინა დაღუპულთა ხსოვნის პატივმიგების პანაშვიდი. პანაშვიდს ესწრებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ნიშნის ადამიანები, მაგრამ მათ აერთიანებდა ერთი რამ—ეს არის საქართველო, მისი თავისუფლება და მომავალი.

აღინიშნა, რომ არაერთი ქართველი შეეწირა 9 აპრილის ღამეს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. რუსთაველის გამზირზე შეკრებილებმა თავისუფლების მოთხოვნით წინააღმდეგობა გამოუცხადეს საბჭოთა კავშირის ჯარს. 9 აპრილის გმირული ღამე საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც ტრაგედია, მაგრამ გამარჯვება ქართველი ერის, ერის ერთიანობის დასაწყისი, რაც საქართველოს მომავალშიც უნდა გაჰყვეს.

დიდება მამულისათვის დაღუპულ გმირებს! „ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა“...

ჩვენ გვახსოვს 9 აპრილი!

***

წვიმის წვეთები უმანკო ცრემლებივით ეპკურებოდა ცხრა აპრილის მემორიალს ჩვენს ქალაქში. სპორტის, ახალგაზრდობის და ტურიზმის სამსახურის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას ალამაზებდა სევდიანი მუსიკის ჰანგები. აქ თავი მოიყარეს ცაგერის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა, გიმნაზიისა და ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, პროფესიული ცენტრის მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, რომლებმაც სანთლები დაუნთეს დაღუპულთა სულებს და ყვავილებით შეამკეს მემორიალი.

9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელმა პირებმა, სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებმა, მოქალაქეებმა.

დასასრულს, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში 9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა სტეფანემ.

იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე

საკრებულოში

16 აპრილს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა მორიგი სხდომა. დღის წესრიგით ორი ძირითადი საკითხი გახლდათ გათვალისწინებული:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (მომხსენებლები **მ. ჩაჩხიანი, რ. კუხალაშვილი**).

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ **(რ. ახვლედიანი, ნ. საღინაძე)**.

ორივე დადგენილება საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა.

საკრებულოს შემდგომი სხდომა ჩატარდა 30 აპრილს, დღის წესრიგში გახლდათ შემდეგი დადგენილებები:

1. „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 29 თებერვლის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დიდი სამამულო ომის ვეტერანთა 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მატერიალური წახალისების შესახებ **(მ. ჩაჩხიანი, მ. საღინაძე, ა. კვირიკაშვილი)**.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

(რ. ახვლედიანი, ნ. საღინაძე)

განკარგულებები:

1. 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

(მ. ჩაჩხიანი, მ. საღინაძე, რ. კუხალაშვილი)

2. 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის ანგარიშის მიმოხილვა

(მ. ჩაჩხიანი, მ. საღინაძე, რ. კუხალაშვილი)

3. ინფორმაცია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული კრებების შედეგების შესახებ.

(გ. მამარდაშვილი,ი. ლარცულიანი)

4. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან 2012 წლის საინვესტიციო ხელშეკრულების №1 დამატების შესახებ.

(მ. ლეთოდიანი)

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დაზუსტების შესახებ

(მ. ჩაჩხიანი, მ. საღინაძე, რ. კუხალაშვილი)

6. ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსთა ასოციაციისა და ცაგერის მუნიციპალიტეტს შორის ხელშეკრულების შესახებ.

(მ. ლეთოდიანი)

7. საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველსამყოფად ასოციაციისა და ცაგერის მუნიციპალიტეტს შორის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ

(მ. ლეთოდიანი)

8. ქ. ცაგერში დასუფთავების, დასახლებული ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილების შესახებ.

(მ. ჩაჩხიანი, ი. ლარცულიანი)

ამით სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„და ესე ენაი შემკული და კურთხეული“

(დასასრული)

თა, შემოქმედებითი და ნორჩ მხატვართა კონკურსი. რაც მოგვიანებით „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული

კითხვის კონკურსით გაგრძელდა. შემოქმედებითი პალიტრა—ახალგაზრდა პოეტთან შეხვედრითა და მისი კრებულის პრეზენტაციით დასრულდა. ახალგაზრდა პოეტი გახლდათ წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის პედაგოგი **გიორგი ბერიძე**.

ღონისძიების მსვლელობისას ბულვარს ჟივილ-ხივილი მოედო. საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებმა და წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის პირველკლასელებმა დიდი მხიარულება შეიტანეს ზეიმში.

ემოციურად დატვირთული და მართლაც შემოქმედებითი, ეროვნელი სულისკვეთებით გაჟღენთილი ეს დღე, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოთი დასრულდა, რომლის სლოგანი გახლდათ „გულს მისვენია ხატადა, ენა მთისა და ბარისა“.

კონცერტზე სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივები, სოლისტი მომღერლები და მოცეკვავეები წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. კონცერტი ლამაზი დასასრული გახლდათ ამ ლამაზი დღისა, მისი დიდებული გვირგვინი კი—ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსის სტეფანეს დალოცვა გახლდათ. მეუფემ ჩვეულად დალოცა დამსწრე საზოგადოება და დააჯილდოვა ზემოაღნიშნული კონკურსების გამარჯვებულნი, რომელიც ჟიურიმ გამოავლინა.

ღონისძიებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობასთან და ლეჩხუმელ ხელოვნებისმოყვარულებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის წევრი, ბატონი **კარლო კოპალიანი**.

მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო ლომის წილი ამ ღონისძიებაში გამგეობის კულტურისა და განათლების სამსახურისა (ხელმძღვანელი **ნელი ბურდული**).

თითოეული თანამშრომლის შემოქმედებითი ძალისხმევა და შრომისმოყვარეობა, რამაც დიდი სიამოვნება მოუტანა საზოგადოებას.



ხიდის მშენებლობა დასრულდა

წლების მანძილზე უგზობის პრობლემა დიდად აწუხებდა სოფელ ლასურიაშის, დეხვირის, მახაშის მოსახლეობას, დიდი ხანი არაა, რაც ახალი ხიდის წყალობით მოსახერხებელი გახდა სოფლების მოსახლეობის გადაადგილება. ლასურიაშის ხიდი, მართლაც ის მყარი დამაკავშირებელი გახდა, რომელიც იოლად აღარ უშინდება მდინარე ცხენისწყლის ადიდებას, მოვარდნას, რის გამოც ადრე იოლად ინგრეოდა შეკეთებული გზაც კი.

სოფლის მოსახლეობა ჩვენთან საუბარში ფრიად კმაყოფილებას გამოხატავს ამის გამო. ამჟამად მიმდინარეობს ლასურიაშის ხიდის დაგრძელების პროცესი, რაც უკვე დასრულების სტადიაშია.

ამ საკითხზე, სამუშაოთა მიმდინარეობაზე, მის ხარისხზე გვესაუბრება შპს „სკ მამისონის“ სამუშაოთა მწარმოებელი, ბატონ გედეონ ხელაძე.

„სამუშაოთა მწარმოებელი გახლავთ შპს „სკ მამისონი“, 3 მილიონიანი ტენდერი, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა, მოიგო ჩვენმა კომპანიამ, პროექტი ითვალისწინებდა ლასურიაშის ხიდის დაგრძელებას 2 ოცდაერთმეტრიანი მალით და სახრაველას ხიდის მშენებლობას, ერთი ოცდაერთმეტრიანი მალით, ხიდის კონსტრუქციული ნაწილი გახლავთ ლითონის. სამუშაოები ხარისხიანად, მაღალ დონეზეა შესრულებული, ვფიქრობთ, ამ ტერიტორიაზე მოსახლეობას არასოდეს აღარ შეექმნება გადაადგილების პრობლემა.

პარალელურად ჩვენ ვატარებთ ნაპირსამაგრ სამუშაოებს, მოცემული სამუშაო შესრულებულია დაახლოებით 26000 კუბამეტრ ტერიტორიაზე, სამუშაო კარგა ხანია მიმდინარეობს და ხარვეზები, რაც პერიოდულად წარმოიშვება სხვადასხვა ფაქტორის გამო, აღმოფხვრადია. და ჩვენც ვცდილობთ ყველა პრობლემა მოგვარებული დავტოვოთ. ოფიციალურად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო ვადა ხიდის ჩაბარებისა, 31 მაისია, სამუშაო კი უკვე ფაქტობრივად შესრულებულია.

რაც შეეხება მუშახელს, სპეციალისტები, ტექნიკა ჩამოყვანილი გვყავს, დასაქმებულია ადგილობრივი მუშახელიც.

ვფიქრობთ, ერთადერთი პრობლემა, რაც ხიდის დასრულების შემდეგ დარჩება, ძალზედ მტვრიანი გზაა, მოასფალტება იქნება ის სასურველი ბოლო შტრიხი, რაც მართლაც სრულფასოვანს გახდის ამ გზას.



ხიდის დათვალიერების შემდეგ მართლაც გასაგებია მოსახლეობის კმაყოფილება რითაა გამოწვეული, ეს ხომ პროფესიონალების, გამოცდილი სპეციალისტების მიერ შესრულებული დიდი საქმეა, რაც აგრერიგად წაადგება ჩვენს ლეჩხუმს.

თამარ დავითულიანი

გვწერენ

უფალმა დაგლოცოთ

რამდენიმე ათეული წელია, რაც ცაგერის საავადმყოფოს ემსახურებიან ექიმები—**მირანდა სილაგაძე და ალუდა ზურაბიანი.** შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს ღირსეული ცოლ-ქმარი სამაგალითო ექიმები არიან. მათ გათავისებული აქვთ ხალხის ტკივილი და გასაჭირი. ყოველთვის უდიდესი ყურადღებით უსმენენ პაციენტებს და გულთან ახლოს მიაქვთ თითოეულის დარდი, მუდამ მზად არიან სხვის დასახმარებლად, ამიტომაც ჰყავთ მადლიერი მთელი ლეჩხუმი.

თავიანთი დაუზარელი, მაღალპროფესიული საქმიანობის წყალობით, არაერთ ადამიანს გაუხანგრძლივეს სიცოცხლე, მრავალ საწოლსმიჯაჭვულს დაუბრუნეს სიცოცხლის ხალისი.

მინდა სიკეთე, სიხარული, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ვუსურვო ორთავეს. შეგწეოდეთ წმინდა სალოცავთა ძალა და მადლი თქვენ და თქვენს დიდ, ლამაზ ოჯახს, გამრავლდით და გაიხარეთ. უფალმა დაგლოცოთ!

ლამარა სალინაძე,
პენსიონერი

ერეკლეული

განათლება–ქვეყნის განვითარებისათვის

სალდეიოლ ბოდაჩოლვნეგილ ვალვალოლბოლეგოთ

დიდი ილია ბრძანებდა: „სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება, განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად და უმეცრებაა ხალხის საშიში მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან, განათლება, სწავლა, ცოდნა—აი, ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას“. ამ სიტყვებს, ნათქვამს მე-19 საუკუნის ბოლოს, ძალა ახლაც არ დაუკარგავს და სწორედ სკოლა გახლავთ ოყურეშის მცხოვრებთა ის ადგილი, სადაც მეცნიერების საფუძვლების მიღებას და მის ცხოვრებაში გამოყენებას ასწავლიან მოზარდ თაობას.

უკვე 75 წელია სოფელ ოყურეშის შუა ცენტრში მდებარეობს სამსართულიანი შენობა—საჯარო სკოლა. მომხიბვლელია სკოლის ეზო, გარეთა ფასადიც. დღემდე გვეამაყებოდა სკოლის ლამაზი შენობა, მაგრამ დრო ყველაფერს ცვლის (სკოლა არ გარემონტებულია 1974 წლის შემდეგ), შენობა ძალზედ მოძველებულია თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

სკოლაში მომუშავე 18 მასწავლებლიდან 13 მაგისტრია, 2 ბაკალავრი, 3 საშუალო სპეციალური განათლებით, სკოლაში 58 მოსწავლეა, რომლებიც ცდილობენ კარგი სწავლითა და საქმიანობით თავიანთი სიტყვა თქვან, წარმატებებს აღწევენ სკოლის დამთავრების შემდეგ, სკოლის კურსდამთავრებულები პროცენტულად მაღალი მაჩვენებლებით ეწყობიან უმაღლეს სასწავლებლებში. მოსწავლეები მონაწილეობენ შემოქმედებით კონფერენციებში, რაიონულ ღონისძიებებსა და კონკურსებში, სადაც საუკეთესო შედეგებს აღწევენ, წარმატებები აქვთ სარაიონო სპორტულ შეჯიბრებებში.

სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე დაყენების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი მასწავლებლის პროფესიონალიზმია. სკოლის მასწავლებლებმა კარგად აუწყვეს ფეხი თანამედროვე მოთხოვნებს და ჩაებნენ სასერთიფიკაციო გამოცდებში, შედეგებიც კარგია.

სკოლების დაფინანსების სისტემის შეცვლამ დადებითი გავლენა მოახდინა სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. მასწავლებლები სტაბილურად იღებენ ხელფასებს, სკოლამ შეიძინა მთელი რიგი აუცილებელი ინვენტარი და მასალა-საშუალებები სწავლებისათვის. ყველა მასწავლებელს და მოსწავლეს აქვს საშუალება ისარგებლოს ინტერნეტით და იმუშავოს თანამედროვე ტექნიკით.

აუცილებელია სკოლაში შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც „მოითხოვენ ბავშვის არა მხოლოდ ინტელექტუალური ძალების, არამედ მთელი მისი ბუნების შემოქმედებაში მოყვანას“. სკოლის შენობას აუცილებლად ესაჭიროება რესტავრაცია. არ გვყავს უცხო ენის—კერძოდ—ინგლისურის სპეციალისტი (ყველას ვთხოვთ ამ საქმის მოგვარებაში დახმარებას) რამდენიც მოვიდა ქალაქიდან, იმდენი წავიდა. სოფლის მიგრაციის გამო მოსწავლეთა კონტიგენტი მცირდება, „მეტი ყურადღება ჩვენს სოფელს“—ასეთია თხოვნა.

მასწავლებელი მაძიებელია, შემოქმედია. შეჩერება ერთ წერტილზე არ უხდება. ოყურეშის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივმა გაითავისა თავისი მოვალეობა, რამეთუ დარწმუნებული ვართ ჩვენი შრომა დაფასდება, კეთილსინდისიერი შრომით მივიღებთ მოსწავლის, საზოგადოების თანაგრძნობას, სიყვარულს, ნდობას.

ქეთევან მურცხვალაძე,
ოყურეშის საჯარო სკოლის
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ღვაწლმოსილი

ორიოდ სიტყვა–სულის მალამოდ

წყალტუბოელი გოგონა გულისფანცქალით მიუყვება შარაგზას ღვირიშისკენ. სოფლის კლდე-კარს რომ შეუდგა და ზღაპრულ ჩანჩქერს („შხივს“ რომ ეძახიან) გადახედა, სუნთქვა შეეკრა, მოჯადოებულმა თვალი ვერ მოაშორა ბუნების ამ საოცრებას. ცოტა არ იყოს, შიშიც შეეპარა—ნეტავი კიდევ შორსაა სოფელი და სკოლა, განათლების სამინისტრომ სამუშაოდ რომ გამოანაწილა.

სკოლამ და სოფელმა შვილივით მიიღეს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის რუსული სექტორის კურსდამთავრებული, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **თალიკო გურეშიძე.**

ეს იყო 1953 წელს... პირველი გაკვეთილი... ოციოდე წლის გოგონამ პირველად შეაბიჯა კლასში. აშკარად შეეფეთა მოსწავლეთა გაფართოებულ, ცნობისმოყვარე, გამომცდელ და ინტერსით აღსავსე თვალებს.

გამარჯობათ, ბავშვებო! ვიცნობდეთ ერთმანეთს, მოდით, ვიმეგობროთ. კლასი გაისუსა. მასწავლებელმა მღელვარებას სძლია და... აეწყო ყველაფერი, ახალი მასალის ახსნასაც შეუდგა და იგრძნო, რომ კლასი ხელში აიყვანა, შედგა გაკვეთილი, პირველი სადებიუტო გაკვეთილი მიზანში მოხვდა.

პროფესიაზე შეყვარებულს შეუყვარდა მოსწავლეები, კოლეგები, ლეჩხუმი და ლეჩხუმელები. მალე სოფელში გამორჩეული გიორგობიანების ინტელიგენტი ოჯახის რძალი გახდა—დადაში გიორგობიანი და თალიკო გურეშიძე დაქორწინდნენ.

ომისშემდგომი მძიმე წლები იდგა. ძალზედ უჭირდა სოფელს. არ იყო ტრანსპორტი, ხშირად შუქიც, ებრძოდნენ მთის მკაცრ რელიეფს და კლიმატს... და მაინც ბედნიერი დედა და მეუღლე გახლდათ—3 შვილს ზრდიდა და სოფლის შვილებსაც უშურველად გადასცემდა თავის ცოდნას და სიყვარულს.

ასე სიხარულში გადიოდა დრო, მაგრამ სასტიკმა, დაუნდობელმა ცხოვრებამ არც ეს ბედნიერი ქალბატონი დაინდო, ყველაზე ძვირფასი ადამიანები წაართვა—მეუღლე და 2 შვილი (ქალ-ვაჟი).

ამოტრიალდა მისთვის სამყარო, მორჩა, დასრულდა ყველაფერი. უეცრად ობლად დარჩენილი 6 თვის შვილიშვილის თვალებმა შეძრა. გარდაცვლილი შვილის მუდარა დაინახა თითქოს ამ თვალებში. შვილი უნდა გამიზარდოო, დედა! და გონს მოეგო. უდრეკი სულის ქალმა შვილიშვილზე გადაიტანა მთელი ფიქრი და ყურადღება.

და კიდევ იცით რამ გადაარჩინა? როგორც თავად ამბობს: სკოლამ, კოლეგებმა, მოსწავლეებმა.

და აგერ უკვე 60 წელია თალიკო მასწავლებელი ყოველ ცისმარე დილით მიუყვება გზას სკოლისკენ, ისევ ისეთივე მღელვარეა და სერიოზული მისთვის ყოველი ახალი გაკვეთილი, ყოველი ზარი, როგორც მაშინ, იმ პირველ დღეს. ის კი არა, ერთხელ თურმე, მძიმე ტრავმის გამო „ბიულეტინზე“ მყოფს, გაკვეთილები არ გაუცდენია და სახლში ამეცადინებდა ბავშვებს.

თითქოსდა, თავისი წილი გზა განვლო, 80 წლისა გახდა (28 აპრილს), მაგრამ ისევ ფორმაშია, ისევ მუშაობს. ამბობს: ის კი არ არის მთავარი, რაც გავაკეთე, არამედ ის, რასაც კიდევ გავაკეთებო.

რუსული ენის სწავლებაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

—აბა, რა გითხრათ ჩემო კარგებო. დღეს რუსული ენა ჩვეულებრივი უცხო ენაა და არა სავალდებულო, მაგრამ მეზობელი დიდი სახელმწიფოს ენა რომ ისწავლებოდეს, ამაში, ჩემის აზრით, ცუდს ვერაფერს ვხედავ, პირიქით—სასურველიაო—დააფიქსირა თავისი აზრი.

ერთი შვილი ჰყავს თალიკო გურეშიძეს—ირინა გიორგობიანი—არაჩვეულებრივი ქალბატონი, დედა და ღირსეული მეუღლე, ხუთი შვილიშვილი, ისინია ქალბატონი თალიკოს ცხოვრების აზრი.

კარგა ხანს ვესაუბრეთ ამ საოცარი ენერგიისა და შემართების ქალბატონს. დამსახურების დამადასტურებელი არა ერთი ჯილდოც დავათვალიერეთ. მის საკუთარ ლექსებსაც გადავავლეთ თვალი, სადაც ერთგან ასე გადმოსცემს უდიდეს სევდასა და ტკივილს:

იქროლე დილის ნიავო,
რომ შენთან ერთად ვიარო,
რომ ჩემი გულის ნაღველი
გავფანტო გავანიავო...

***

ქალბატონო თალიკო! გისურვებდით, რომ ჩვენგან ეს ორიოდე თბილი სიტყვა მართლაცდა მალამოდ დასდებოდეს თქვენი სულის იარას.

გილოცავთ 80 წლის იუბილეს, პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავს. თქვენ კვლავაც სჭირდებით ოჯახს, სკოლას, საზოგადოებას.

იდღეგრძელეთ!

გაზეთ „ლეჩხუმის“
რედკოლეგია

რა ხდება წყალმომარაგების კომპანიაში

როგორც ცნობილია, წყალმომარაგების კომპანიაში მიმდინარეობს ცვლილებები, დაიწყო გამრიცხველიანება. ბუნებრივია, მოსახლეობას აინტერესებს ეს სიახლეები, როგორია ტარიფები, ფასიანია თუ არა მრიცხველის დადგმა, თუ შეიძლებოდა ამ პროცესის თავიდან აცილება და რატომ გახდა აუცილებელი მისი განხორციელება, იქნება თუ არა წყალი 24-საათიან რეჟიმში, თუ არის გათვალისწინებული საგადასახადო ტარიფებში შეღავათები და ვისზე ვრცელდება იგი? დააწვება თუ არა ტვირთად ეს ყველაფერი ჩვენი მუნიციპალიტეტის ისედაც შეჭირვებულ მოსახლეობას? ამ კითხვებით მივმართეთ „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ იმერეთის, რაჭა-ლაჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ფილიალის მენეჯერს—ბექა ყანჩელს.



ცაგერის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის ტარიფი მრიცხველის ჩვენების მიხედვით 1 კუბურ მეტრზე 0,419 ლარს შეადგენს. ხოლო, წყალარინების (საკანალიზაციო) ტარიფი 1 კუბურ მეტრზე 0,08 ლარია.

წყალმზომის მონტაჟი ფასიანია. რომელიც განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.მიმწოდებელი უფლებამოსილია, მომხმარებელს დაარიცხოს აღრიცხვის კვანძის მოწყობაზე გაწეული ხარჯი.

ნებისმიერი პროდუქციის წარმოება მოითხოვს მის ზუსტ დათვლას. სწორედ ამ მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის 09/01/2012 წ. №92/02 ბრძანებით დადგინდა, რომ კომპანია მოწოდებულია განახორციელოს ქვეყანაში მომქმედი კანონმდებლობის, სტანდარტებისა და ნორმების დაცვით საყოფაცხოვრებო მომხმარებლების გამრიცხველიანება, რაც თავის მხრივ ამცირებს მოპოვებული წყლის დანაკარგს.

გამრიცხველიანებული მომხმარებელი სასმელ წყალს ზუსტად გათვლილი, ანუ საჭირო რაოდენობით მოიხმარს—რაც ხშირ შემთხვევაში სულადობის მიხედვით დარიცხულ საფასურზე ნაკლები გამოდის.

და მაინც, რა არის მრიცხველის პოზიტივები: სასმელი წყლის მარაგის გაზრდა, მაგისტრალურ და შიდა ქსელში წნევის მატება, რაც თვითდინებით მიწოდების გარანტიაა, უწყვეტი წყალმომარაგების შენარჩუნება, მომსახურების გაუმჯობესება, სულადობასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილება, გამჭირვალე და მოქნილი ურთიერთთანამშრომლობა მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის, ზუსტი აღრიცხვა და დარიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობების თავიდან აცილება, ყაირათიანი მოხმარებით, გადასახადის შემცირებული მაჩვენებელი.

გამრიცხველიანების პროცესის დასრულებისთანავე აღმოიფხვრება ის მცირე ტექნიკური პრობლემები, რომელიც აწუხებდა მოსახლეობას და ისინი უწყვეტ რეჟიმში მიიღებენ სასმელ წყალს.

რაც შეეხება შეღავათებს, ამ ეტაპზე კომპანიის მიერ რამე შეღავათი გათვალისწინებული არ არის.

კომპანიას ვალდებულება აქვს აღებული უზრუნველყოს მოსახლეობის 24-საათიან წყალმომარაგებაზე გადაყვანა, გამრიცხველიანება ამ ვალდებულების შესრულების ერთ-ერთი ეტაპია, რომელსაც უამრავი პოზიტიური მხარე აქვს, რაშიდაც მალე დარწმუნდება თვით მოსახლეობა.

მადონა ლაკვეხელიანი

ასე უყვარდათ საქართველოში
სულიერ მზიანი

ასე უწოდებდა დიდი ილია ოლღა გურამიშვილს გაცნობის დღიდან.

ქართლის ერთ-ერთი უდიდესი მემამულის თადეოზ გურამიშვილის ობლად დარჩენილი ქალიშვილები მამიდამ—გენერალ სავარსამიძის ქვრივმა, მეტად მდიდარმა მანდილოსანმა, აღზარდა და განათლება მისცა.

უშვილო სიდონიას მემკვიდრე—სიკეთითა და გონიერებით აღვსილი მშვენიერი ოლღა სასურველი სასძლო იყო.

სიდონიას სალონში თავის იყრიდა თბილისის მოწინავე საზოგადოება. სწორედ აქ გაიცნო სათნო, ნატიფმა ცისფერთვალა ოლიკომ ილია. მან უმალ შეიცნო ყმაწვილი კაცის ტვირთის სიმძიმე და უდრტვინველად იკისრა თანადგომა—25 წლის ილია მაშინ „საქართველოს მოამბის“ გამოსაცემად ემზადებოდა. ილიამაც ნათლად იგრძნო ქალის ღირსებანი. მე ისეთ ჭკვიან ქალზე დავქორწინდები, რომელიც კი არ ჩამომაშორებს ამ წმინდა საქმეს, პირიქით, უფრო მიმაჯაჭვავს, ძალასა და ენერგიას შემმატებსო,—ამბობდა.

„უკიდურესად გარდარეული იყო ჩვენი ილია ოლღას მშვენებით. მაგრამ მაშინ ხელმოკლე თავადი ჭავჭავაძე, მასთან მწერალი, ლიბერალი, სასურველ სასიძოდ ვერ ჩაითვლებოდა და შეყვარებულები ჩუმ-ჩუმად სწერდნენ წერილებს“—იგონებს ივანე პოლტორაცკი.

1863 წელს, თებერვლის ბოლოს იშვა ილიას „საყვარელი ძე—პირმშო“—„საქართველოს მოამბე“. იმავე წლის აპრილში კი ახალგაზრდებმა საიდუმლოდ დაიწერეს ჯვარი თბილისის სამების ეკლესიაში.

ოლღა აღმერთებდა ილიას, თავს დასტრიალებდა, როცა ილია მუშაობდა, ფეხაკრეფით დადიოდა, სხვებსაც აიძულებდა—ჩუმად ელაპარაკათ.

„უყვარხარ შენ ილიკოს, ოლიკო“—ასე ეფერებოდა მეუღლეს დიდი ილია.

„წითელი ჯვრის“ საზოგადოების ეგიდით

ჩვენს მუნიციპალიტეტში სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების წარმომადგენლები—კატასტროფების მართვის დეპარტამენტიდან. მათ შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინეს პროექტი—კატასტროფების რისკის შემცირების, მისი შედეგების შეფასების, ანალიზისა და მოსახლეობის დამცველ ღონისძიებათა შესახებ.

პროექტის მიზანია საქმიანი შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, დაინტერესებულ პირებთან, რათა მოხდეს კატასტროფების რიცხვის შემცირება. კატასტროფების შედეგების განხილვა, გაანალიზება, კონკრეტული საქმიანობის გამოკვეთა და მის შესასრულებლად მიზანმიმართული დახმარების გაწევა.

შეკრებილებმა წამოაყენეს თავიანთი წინადადებები. სტუმრებმა გულდასმით მოისმინეს გამომსვლელთა აზრები, კომენტარი გააკეთეს და უახლოეს მომავალში დაგვპირდნენ დახმარებას.

ბიბლიოთეკაში

უკვე შევეჩვიეთ იმ ფაქტს, რომ საბავშვო ბიბლიოთეკა (ხელმძღვანელი **ლალი ფანჯარაძე**) გვანებივრებს სხვადასხვა ღონისძიებებით, მით უფრო, გულგრილობას აქ არ გამოიჩენდნენ, როცა ეს დღესასწაული დედა ენას და წიგნს ეხება.

ცაგერის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი **შორენა ხეცურიანი**) ქართული ენის დღესთან დაკავშირებით საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩაატარეს ღონისძიება „ო, ენავ ჩემო“.

მოსწავლეებმა ისაუბრეს ენის წარმოშობაზე, მის განვითარებაზე, ქართული ანბანის წარმოშობის თეორიებზე და მისი განვითარების საფეხურებზე.

ქართულ ენას ლექსები მიუძღვნეს ნიკოლოზ ფანჯარაძემ, დავით ქომეთიანმა, ნიკოლოზ საღინაძემ, ბექა სილაგაძემ, გიორგი ჩახულიანმა, გიორგი ჩაკვეტაძემ, თორნიკე მამარდაშვილმა, ბაგრატ სილაგაძემ.

გალობა შეასრულეს ნატალი მეშველიანმა და ლელა მურცხვალაძემ.

ქართული ანბანის წარმოშობასა და განვითარებაზე გვესაუბრნენ ლიკა სილაგაძე, ანა ჩიქოვანი, მარიამ საღინაძე, მარიამ ხეცურიანი, მარიამ კოპალიანი.

ღონისძიების ბოლოს მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა **ნანული სადილანმა** მადლობა გადაუხადა პედაგოგს **შორენა ხეცურიანს** და კლასის დამრიგებელს მაყვალა ხუბუკელაშვილს.

***

მანამდე კი 2 აპრილს ამავე ბიბლიოთეკაში აღინიშნა საბავშვო წიგნის დღე სლოგნით „ჩემო პატარავ, გიყვარდეს წიგნი“!

ამ დღის აღსანიშნავად ბიბლიოთეკას ეწვია ცაგერის საჯარო სკოლის პირველკლასელები (კლასის ხელმძღვანელი **მზიური გურგუჩიანი**).

ღონისძიება მომზადდა ასევე ცაგერის საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლეების მონაწილეობით, ისინი პატარებს ესაუბრნენ წიგნის უდიდეს როლზე ადამიანის ცხოვრებაში.

დიდი მადლობა ბიბლიოთეკის მთელ კოლექტივს ყოველივე ამისათვის.

შეიქმნა სოფლის მეურნეობის ახალი სამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნიციპალიტეტში შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო—საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია სამინისტროს მიერ კონკურსის გზით შერჩეული კადრებით. სამსახურს გააჩნია დებულება, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია მისი უფლებამოსილებანი. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს.

სამსახური უფლებამოსილია:

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ შეაგროვოს ინფორმაცია;

სამეურნეო წლის განმავლობაში ნათესი და ნარგავი ფართობების სრული განახლებადი საინფორმაციო ბაზის შექმნა.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროექტების შერჩევაში აქტიური მონაწილეობა, კონსულტაცია და მონიტორინგი;

სამინისტროს პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირება

კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტებში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის კომისიებში და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა. სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და სფეროებში შექმნილ საგანგებო სიტუაციათა ანალიზი და შეფასება

მუნიციპალიტეტებში მექანიზაციის ხელმისაწვდომობაზე, ასევე მათი რაციონალური გამოყენების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება.

სხვადასხვა ტრენინგების, სწავლებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება

სამსახურის უშუალო მოვალეობაა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია მათი დანერგვის მიზნით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სფეროში გამოვლენილი პრობლემებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ სამინისტროს დროული ინფორმირება...

მჯერა, ახალი სამსახური მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ДИАНА УРТМЕЛИДЗЕ

ინტელექტის დღე

„რა?! სად? როდის?“

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ყოველწლიურად ატარებს ზოგადასაგანმანთლებლო სკოლების ჩემპიონატს ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“ პროექტის მიზანია მოსწავლეახალგაზრდობის ინტელექტუალური დონის ამაღლება, მათი მოტივირება, ნიჭიერთა წარმოჩენა და რეგიონებში მცხოვრებ მოსწავლეთა ერთმანეთთან დაახლოება.

ჩემპიონატი ორ ეტაპად ტარდება. პირველი ეტაპი—მუნიციპალური, სინქრონული ტურნირია, მეორე ეტაპი კი ფინალურია, რომელიც გაიმართება 11 მაისს, ქალაქ თბილისში.

ჩვენს მუნიციპალიტეტში სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის და ცაგერის საგანმანათლებელ რესურსცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ მასში მონაწილეობდა საჯარო სკოლებისა და წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეთა 14 გუნდი. ღონისძიება მიჰყავდათ საორგანიზაციო კომიტეტიდან ჩამობრძანებულ წარმომადგენლებს.

დარბაზში აბსოლუტური წესრიგი და შესანიშნავი გარემო იყო თამაშის ნორმალურად წარმართვისათვის.

დასმული 24 შეკითხვიდან, 14-ზე სწორი პასუხი გასცა და მუნიციპალური ტურის ჩემპიონობა დაიმსახურა ცაგერის საჯარო სკოლის გუნდმა. 10-10 შეკითხვაზე სწორი პასუხები ჰქონდათ ლაილაშის საჯარო სკოლისა და გიმნაზიის გუნდებს. დამატებითი შეკითხვების დასმის შემდეგ კი, მეორე ადგილი წილად ხვდა ლაილაშის საჯარო სკოლას, მესამე—წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიამ დაიკავა.

შეჯიბრებაში გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ დაწესებული შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

ვულოცავთ ცაგერის საჯარო სკოლის გუნდს გამარჯვებას, ვუსურვებთ ახალ წარმატებებს ფინალურ ასპარეზზე.

გზა დაგელოცოთ!

კიდევ ერთხელ სასაფლაოს შესახებ

სასაფლაო, მდუმარე საფლავები ქვაში განსხეულებული ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები, სანთლების სურნელი, ცრემლი, ყვავილები და... მძიმე ფიქრები.

სასაფლაო... ღვთისგან ნაკურთხი წმინდა ადგილი, სამარადისო განსასვენებელი ჩვენი.

დავდივარ იდუმალ საფლავებს შორის, აქ ის ადამიანებია, გუშინ ჩვენს გვერდით რომ დააბიჯებდნენ, უყვარდათ, უხაროდათ, სიცოცხლეს ეტრფოდნენ. რას ვიზამთ. ასე იყო და ასე იქნება ამ მართლაც და წუთისოფელში. სასაფლაო კი მარადიული სავანეა ჩვენგან მოსაფერებელი და მისახედი.

ქალაქის სასაფლაო, რომლის შუაგულში ტაძარი დგას, ასე თუ ისე ნორმალურ მდგომარეობაშია. შემოვლებული აქვს ქვის ღობე, აქვს რკინის ჭიშკარი, კეთილმოწყობილია ძირითადი სავალი ბილიკები. აქვე შეხვალ ეკლესიაში და შენი მიცვალებულისთვის ილოცებ, პანაშვიდს გადაუხდი.

პირუტყვის ხელოვნურად შეშვება სასაფლაოს ტერიტორიაზე თითქმის აღიკვეთა, მაგრამ...

სასაფლაოს მაინც სჭირდება მეტი მოვლა და ყურადღება. არა ერთი საფლავი ისეა მოვლილი, რომ მართლაც სამაგალითოა. მაგრამ მის გვერდით ძალიან ბევრი მოუვლელია, მიტოვებულია, ეკალ-ბარდებითაა დაფარული, ასე რომ შესვლა შეუძლებელია. ამასთან საფლავების მიმდებარე ადგილებზე გალავნის ნარჩენები, ქვა-ღორღი და ნაგავი ყრია, გაუვალია შიდა ბილიკები, გაუთიბავი.

აღდგომის მეორე დღე მიცვალებულთა მოხსენიებისაა. ამ დღეს მოვილოცავთ ახლობელთა საფლავებს და რა დასანანია, რომ მეზობელ საფლავზე მოსვლა შეუძლებელია, უპატრონოდ, უბადრუკად გამოიყურება, შეიძლება პატრონიც ჰყავს, მაგრამ...

აღდგომამდე ბევრი დრო აღარ დარჩა. მოდით, მივხედოთ სასაფლაოს, დავასუფთავოთ, გავიტანოთ ნარჩენები და ნაგავი, გავალამაზოთ ეს ჩვენი მიცვალებულების სულებისთვის გავაკეთოთ. ეს ჩვენი ადამიანური მოვალეობაცაა და რაც ყველაზე მთავარია უდიდესი მადლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუხრან მაჭავარიანი
ჩემი ეპიტაფია

შენი არ იყოს, ჩემო ირაკლი!—
ვერ ვიდევგმირე,—ვერ ვიწინაპრე!
ჭირმა ჩემმა და ჩემმა სილაღემ—
მამულმა შენებრ შემიწირა მე.

***

მე მიხარია, შენ რომ არსებობ,
შენით თენდება, შენით ღამდება,
შენი ვარ, შენთან მინდა ხელახლა!
შენა ხარ—
რაც მე გამეხარდება,
რაც მეწყინება—
ისიც შენა ხარ!

ბზობა

ბზობა ერთ-ერთია თორმეტ საუფლო დღესასწაულთა შორის. [illegible]ქის წინ კვირას ქრისტე იერუსალიმს შევიდა დიდებით, გზად სახედარი მოჰგვარეს, შეჯდა. მორწმუნეები გზად ხვდებოდნენ ლაზარეს მკვდრეთით აღმადგენელ მესიას, ძირს უფენდნენ სამოსელს, ყვავილებს, ბზის რტოებს. თაყვანისმცემელნი ღაღადებდნენ: „ოსანა, ძესა ღვთისასა! „ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა“. იერუსალიმს შესვლა ნიშანი იყო ძველი იუდეველთა დედაქალაქის დამხობისა და ახლის აშენებისა, ნათლის გამარჯვებისა ბნელზე, ახალი რელიგიის დამკვიდრებისა.

ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში წირვა აღავლინა ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა სტეფანემ.

მან მრავალი თაობა აღზარდა

რაიონის სპორტულმა საზოგადოებამ, სრულიად ლეჩხუმმა უკანასკნელ გზაზე გააცილა სპორტის ამაგდარი მუშაკი, შესანიშნავი პიროვნება ვახტანგ მუშკუდიანი.

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ცაგერის რაიონში სამუშაოდ მოვიდნენ ფიზკულტურელები, რომლებმაც დიდი სამსახური გაუწიეს სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობის მაღალპროფესიულ დონეზე წარმართვის საქმეს. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო ვახტანგ მუშკუდიანი, რომელიც მეცნიერულად ფლობდა სპორტის თეორიას და პრაქტიკას, ის იყო საუკეთესო ფიზ. აღზრდის პედაგოგი და მწვრთნელი, ნიჭიერი ორგანიზატორი.

ვახტანგმა და მისმა თანამებრძოლებმა აღზარდეს თაობები, რომლებიც შემდგომში ჩვენი ქვეყნის ღირსეული ადამიანები გახდნენ.

თითქმის 35 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცაგერის სასპორტო სკოლას ამ ხნის განმავლობაში რაიონში აღიზარდნენ საუკეთესო სპორტსმენები, რაც მთავარია—ფიზიკურად ძლიერი, ჯანსაღი თაობები.

მიუხედავად ოჯახური ტრაგედიისა, ბატონმა ვახტანგმა ბოლომდე შეინარჩუნა სულიერი მხნეობა. იგი სამაგალითო პიროვნებად და ღირსეულ მეგობრად დარჩა.

ლეჩხუმის სიმდიდრეა მისი შესანიშნავი შვილები, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ დიდი ოჯახის ტრადიციებს.

ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი ღვაწლისათვის ვახტანგ მუშკუდიანს მიენიჭა სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება, იგი დაჯილდოვებული იქნა ღირსების ორდენით.

ღმერთმა აცხონოს საუკეთესო პიროვნების გამორჩეული პროფესიონალის, კარგი ლეჩხუმელის ვახტანგ მუშკუდიანის სული.

მეგობრები

მუნიციპალიტეტის სპირველობა ფრენბურთში

გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქ. ცაგერისა და სოფლების 8 გუნდი. ღონისძიების ორგანიზატორია გამგეობის სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

შეჯიბრება ჩატარდა ორ ქვეჯგუფში წრიული სისტემით. წილისყრის შედეგად პირველ ქვეჯგუფში მოხვდნენ ისუნდრის, ოყურეშის, მახაშის და სასპორტო სკოლის გუნდები.

მესამე ქვეჯგუფში ითამაშეს ცაგერის, ჩხუტელის, ზუბის გუნდებმა და ცაგერის ახალგაზრდულმა გუნდმა „მართვე“.

გელა ხვადაგიანის სახელობის სპორტულ დარბაზში დილიდანვე ხალხმრავლობა იყო.

თამაშები წარიმართა დაძაბულად და საინტერესოდ.

პირველ ქვეჯგუფში ჩატარებული შეხვედრების შედეგები: ისუნდერი–ოყურეში 0:2, მახაში–სპორტსკოლა–2:0, ოყურეში სპორტსკოლა 2:0, ისუნდერი–სპორტსკოლა 1:2, ისუნდერი–მახაში–1:2, ოყურეში–მახაში 2:0.

მესამე ქვეჯგუფში ჩატარებული შეხვედრების შედეგები: ცაგერი–ჩხუტელი 2:0, „მართვე“–ზუბი–2:1. ჩხუტელი „მართვე“–0:2, ცაგერი–ზუბი 2:0, „მართვე“ ცაგერი 0:2, ჩხუტელი–ზუბი 2:1.

ქვეჯგუფებში გამარჯვებული ოყურეშის და ცაგერის გუნდები ერთმანეთს ფინალში შეხვდნენ. დაძაბულ შეხვედრაში გაიმარჯვა ცაგერის გუნდმა და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა.

მეორე ადგილი წილად ხვდა ოყურეშის გუნდს. მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა ახალგაზრდული გუნდი „მართვე“.

გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გამოსული გუნდები დაჯილდოვდნენ გამგეობის მიერ დაწესებული ფულადი პრიზებით და საჩუქრებით. გამარჯვებული გუნდები მაჟორიტარმა დეპუტატმა **სერგო ხაბულიანმა** დააჯილდოვა სპეციალური პრიზებით. გამოვლინდნენ საუკეთესოები სხვადასხვა ნომინაციაში. საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი გადაეცა ცაგერის გუნდის მოთამაშეს ოთარ საღინაძეს, საუკეთესო ტექნიკური მოთამაშის პრიზი მიიღო ოყურეშელმა მირზა მუშკუდიანმა, ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ დასახელდა მისი თანაგუნდელი გიორგი არჯევანიძე.

მუნიციპალიტეტის ფრენბურთელთა პირველობამ არაერთი ნიჭიერი და პერსპექტიული მოთამაშე წარმოაჩინა.

მადლობა მახაშის, ზუბის, ჩხუტელის, ისუნდრის და სპორტსკოლის

გუნდებს შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ფრენბურთელთა პაექრობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სპორტის ამ სახეობაში ლეჩხუმს კვლავაც კარგი პერსპექტივები გააჩნია.

ასპარეზობენ ჭაბუკი ფალავნები

საჩხერეში ჩატარდა საქართველოს ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის გუნდი (მწვრთნელი სპორტის ოსტატი **კობა ქომეთიანი**).

60 კგ წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლემ გაგა მურცხვალაძემ, რომელმაც ორ შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ ფინალში იასპარეზა.

გაგას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბოლო წამებამდე უგებდა ძლიერ მეტოქეს, მაგრამ ბოლო ილეთი ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა, მან სერიოზული ტრავმა მიიღო და ვეღარ დაამთავრა შეხვედრა.

სამწუხაროდ, გაგა მურცხვალაძე მხოლოდ მეორე ადგილს და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

მაღალპროფესიული სამედიცინო ჩარევის შემდეგ გაგა თავს კარგად გრძნობს და მალე დაუბრუნდება სპორტს.

ასევე კარგად იასპარეზეს ბექა მეშველიანმა, ვლადიმერ ჩანქსელიანმა, ზურაბ ქომეთიანმა და გიორგი კოპალიანმა, რომლებმაც გაგასთან ერთად მოიპოვეს საქართველოს პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლება, რომელიც თბილისში გაიმართება.

***

ახმეტაში ზურაბ ზვიადაურის სახელობის ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდა ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლის გუნდი (მწვრთნელები **კობა და დათო ქომეთიანები**).

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჭაბუკი ძიუდოისტები. ტურნირში 73 ზონით კატეგორიაში კარგად იასპარეზა და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ზურაბ ქომეთიანმა. ამავე წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა ვლადიმერ ჩანქსელიანმა.

უნდა აღინიშნოს; რომ ძიუდოში ესოდენ პრესტიჟულ ტურნირში ჩვენი გუნდისთვის ეს პირველი დიდი წარმატებაა.

ვუსურვებთ ჩვენს ჭაბუკებს მომავალ უფრო შთამბეჭდავ წარმატებებს.

გიორგი კვირიკაშვილი

ფეხბურთი

მუნიციპალიტეტის სპორტის სფეროში საინტერესო სიახლე გვაქვს. 2013 წლის თებერვლიდან შეიქმნა არასამეწარმეო—არაკომერციული იურიდიული პირი ცაგერის საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“და კომპლექსური სპორტული სკოლის ფეხბურთის ჯგუფები გადავიდა კლუბის დაქვემდებარებაში.

საფეხბურთო კლუბის ასაკობრივი გუნდები წარმატებით ასპარეზობენ ჭაბუკებში იმერეთისა და რაჭა ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სხვადასხვა სახელობით ტურნირში. გათამაშების II წრეში ვიტალი დარასელიას სახელობის თასზე ცაგერის „ხვამლის“ 1999 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი თემურ ახვლედიანი) ოთხივე ჩატარებული შეხვედრა მოიგო.

„ხვამლი“ ცაგერი—სასპორტო სკოლა (წყალტუბო) 1:0
„საპოვნელა“ თერჯოლა—„ხვამლი“ 0:4
„ხვამლი“—„მართვე“ საჩხერე 6:0
„ზესტაფონი“—„ხვამლი“ 2:3

ჯუმბერ ხაჟალიას სახელობის თასზე ცაგერის „ხვამლის“ (მწვრთნელი სულხან კოპალიანი) 1997 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდის ჩატარებული მატჩების შედეგები ასეთია:

„მართვე“ ქუთაისი — „ხვამლი“ ცაგერი 2:1
„ხვამლი“ — „მართვე“ ვანი— 4:1

ტურნირები გრძელდება.

საფეხბურთო კლუბ „ხვამლის“ დირექტორი
პორფილე კოპალიანი

საინფორმაციო გამოცემა მომზადებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მიერ.

მისამართი:
ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №64
ტელ: 899 951678
898 865497; 790 393580

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“ სტამბაში
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.
ტელ: 223711; 223499.